ხელშეკრულება 73

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო ქ. საჩხერეში 2016 წლის 3 ოქტომბერს

ერთის მხრივ, ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი" წარმოდგენილი მისი დირექტორის მარიამ გოგობერიშვილის სახით (შემდგომში - შემსყიდველი) და მეორეს მხრივ, ფიზიკური პირი მერაბი იაკობაშვილის სახით (შემდგომში-მიმწოდებელი), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია ა.ი.პ. „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის" ორღულის და გორისის განყოფილებებისათვის **სატვირთო ავტომანქანით მომსახურება მძღოლთან ერთად** (CPV60181000 კოდით) შესყიდვა, (კერძოდ ავეჯის და სხვა ტვირთის გადაზიდვა) წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, გამარტივებული წესით.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1 შესყიდვის ობიექტია **სატვირთო ავტომანქანით მომსახურება მძღოლთან ერთად (CPV60181000 შესყიდვა)** ა.ი.პ „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღისათვის" .

3. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

3.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება განისაზღვრება **125.00 (ასოცდახუთი ლარი)** ლარის ოდენობით.

4. შესყიდვის ობიექტი მიწოდების ვადები და ადგილი

4.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდება განხორციელდება ერთდროულად. 2016 წლის 5 ოქტომბრამდე
4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია ქ. საჩხერე.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიმწოდებლის მიერ ამოწერილი სათანადო დოკუმენტით. მიღება-ჩაბარების აქტით დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

6. ანგარიშსწოების წესი, ვადები და ადგილი

6.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.
6.2 შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.3 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზრაუროს მიმწოდებელს მომსახურების ღირებულება შესაბამისი დოკუმენტების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 (თხუთმეტი) საბანკო დღის განმავლობაში.
6.4 ანგარიშსწორების ადგილია ქ. საჩხერე.

შემსყიდველი_____ მიმწოდებელი_____

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
- წერილობით აცნობოს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ.
- მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზრაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებული ვალდებულია:
- გააფრთხილოს შემსყიდველი მიწოდების პროცესში შეფერხების შესახებ.
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1 მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
8.2 თუ ხელშეკრულების რომელიმე მხარე დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებს, მაშინ ხელშეკრულების მეორე მხარეს შეუძლია მოითხოვოს ხელშეკრულებიდან გასვლა ვალდებულების შესრულებისათვის მის მიერ დამატებით განსაზღვრული ვადის უშედეგოდ გასვლის შემდეგ (დამატებითი ვადის განსაზღვრისათვის გამოიყენება წერილობითი ფორმა). თუ ვალდებულების ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია გამოყენებული იქნას დამატებითი ვადა, მაშინ დამატებითი ვადის განსაზღვრას უთანაბრდება გაფრთხილება.
8.3 ხელშეკრულებიდან გასვლისას მხარეს შეუძლია მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება, რომელიც მას მიადგა მეორე მხარის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობით.
8.4 ხელშეკრულების გასვლასთან და ზიანის ანაზრაურებასთან დაკავშირებით შესაბამისად გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობა.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

9.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან 2016 წლის 5 ნოემბრამდე

10. ფორს-მაჟორი

10.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით გარემოებათა დასრულების შემდეგ.

შემსყიდველი_____ მიმწოდებელი_____

10.2 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვს შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
10.3 მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორი გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს მეორე მხარეს ამის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეებს შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

12. სხვა პირობები

12.1 მხარეები აუნაზრაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
12.2 არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
12.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
12.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა, ერთი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ხოლო ერთი ეგზემპლარი - მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
12.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილი მხარეთა მიერ.

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
არასამეწარმეო იურიდიული პირი „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღი“ მისამართი: საჩხერე, თავისუფლების ქ#5 რეკვიზიტები: ს.ს საქართველოს „ლიბერთი ბანკის“ საჩხერის ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი: GE02LB011512462169000 საიდენტიფიკაციო ნომერი: 239396346	ფიზიკური პირი: მერაბი იაკობაშვილი მისამართი: საჩხერე, ლესელიძის ქ#26 საბანკო რეკვიზიტები „ლიბერთი ბანკის“ საჩხერის ფილიალი ბანკის კოდი: LBRTGE22 ანგარიშის ნომერი:GE03LB0711114645423000 პირადი ნომერი: 38001022288
არასამეწარმეო იურიდიული პირი „საჩხერის გაერთიანებული საბავშვო ბაღის“ დირექტორი:	ფიზიკური პირი:
მ. გოგობერიშვილი	მ. იაკობაშვილი